გიწვევთ კონკურსში: „ქუჩის ხელოვნება (კედლის მხატვრობა) - მდგრადი განვითარების შესახებ" ცნობიერების ამაღლებისათვის

GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული კედლის მხატვრობის კონკურსი ხელოვანებს სთავაზობს შესაძლებლობას, ქუჩის მხატვრობის გზით წვლილი შეიტანონ **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) პოპულარიზაციის პროცესში.** პროექტი ხორციელდება **ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით.** კონკურსის ფარგლებში მონაწილეებმა უნდა წარადგინონ ნამუშევრები, რომლებიც ქუჩის მხატვრობას დააკავშირებს მდგრადი განვითარების მიზნებსა ან/და მდგრადი განვითარების მიმართულებით არსებულ გამოწვევებს.

პროექტის მიზნები:

- მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დიალოგის ინიცირება.

- მდგრადი განვითარების გლობალური მნიშვნელობის გააზრება და მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების ფორმირება.

პროექტის ამოცანები:

- **ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას** ხელოვნების ნიმუშების შექმნის გზით, რომლებიც უკავშირდება ისეთ გამოწვევებს, როგორებიცაა კლიმატის ცვლილება, სიღარიბე, სოციალური და გენდერული უთანასწორობა და სხვა;
- **წაახალისოს მხატვრების ჩართულობა** მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროცესში;
- **ხელი შეუწყოს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების ფორმირებასა** და მდგრადი განვითარების მიმართულებით **გრძელვადიანი შედეგების მიღწევას;**
- ქუჩის მხატვრობის პოპულარიზაციის გზით **ხელი შეუწყოს კერძო და საჯარო სექტორის ჩართულობას** მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროცესში.

ძირითადი მოთხოვნები:

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, თქვენი ნამუშევარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- **ორიგინალურობა** - თქვენი ნამუშევარი უნდა იყოს უნიკალური და ორიგინალური
- **კრეატიულობა** - კრეატიული და ინოვაციური შინაარსიდან გამომდინარე ნამუშევარი უნდა იქცევდეს გამვლელთა ყურადღებას
- **თანხვედრა მდგრადი განვითარების მიზნებთან** - ილუსტრაცია უნდა გამოსახავდეს მდგრადი განვითარების ერთ ან რამდენიმე მიზანს; უმჯობესია ილუსტრაციაში თემატიკის შესაბამისად გამოყენებულ იქნას სპეციფიური მიზნისათვის დამახასიათებელი ფერი
- **სამოქალაქო განათლება** - წარდგენილმა ნამუშევარმა ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო ცნობიერებისა და პასუხისმგებლობის ზრდას
- **თანხვედრა i5-ის პრინციპებთან:**
  აზრიანი (Meaningful) - ნამუშევარი უნდა შეიცავდეს კონკრეტულ, მკაფიო გზავნილს მდგრადობის შესახებ
  აქტიური ჩართულობა (Active Engagement) - ქუჩის მხატვრობის გზით ხელოვანებმა ხელი უნდა შეუწყონ მაღალ საზოგადოებრივ აქტივობასა და დისკუსიას მდგრადობის საკითხების შესახებ
  ღიაობა (Iteration) - ნამუშევრის სრულყოფის პროცესში მისი მოდიფიცირების საჭიროების შემთხვევაში, მხატვარი ღია უნდა იყოს რეკომენდაციებისადმი ილუსტრაციის დიზაინის დასახვეწად
  სოციალური ინტერაქცია (Social Interaction) - ქუჩის მხატვრობის პროცესმა უნდა წაახალისოს საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ სეგმენტს შორის ინტერაქცია
  მხიარულება და კეთილდღეობა (Joy and Well-being) - ნამუშევარმა ხელი უნდა შეუწყოს პოზიტივის გაღვივებასა და სასიამოვნო ატმოსფეროს ჩამოყალიბებას

LIBERA ALLIANCE GRUNI
ბრიგადა გორგასლის სახელობის უნივერსიტეტი
BRIGADA GORGASLI UNIVERSITY
GRUNI SDGs CENTER

*გაითვალისწინეთ, რომ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად **აუცილებელია** გქონდეთ გამოცდილება ქუჩის მხატვრობის მიმართულებით.*

რატომ უნდა მიიღოთ კონკურსში მონაწილეობა ?

- კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში მიიღებთ **ფულად პრიზს 500 ₾-ის ოდენობით**;
- კონკურსის ფარგლებში გექნებათ შესაძლებლობა, ითანამშრომლოთ სხვა მხატვრებთან, ხელოვნების ინსტიტუტებთან და არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან;
- თქვენი ნამუშევარი განთავსდება ქალაქის ხილვად პერიმეტრზე;
- მიიღებთ ღირებულ გამოცდილებას კედლის მხატვრობის მიმართულებით;
- შეიტანთ წვლილს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის პროცესში;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სარეგისტრაციო ფორმაში უნდა ატვირთოთ **საკონკურსოდ ქაღალდზე შესრულებული ნამუშევარი** ან **ციფრული ილუსტრაცია (JPEG/PNG/PDF)**, რომელიც ვიზუალურად განასახიერებს მდგრადი განვითარების ერთ ან რამდენიმე მიზანს. განაცხადს თან დაურთეთ მოკლე (მაქსიმუმ 300

სიტყვიანი) დანართი, რომელშიც მკაფიოდ აღწერთ, თუ როგორ უკავშირდება თქვენი ნამუშევარი მდგრადი განვითარების მიზნებს. **საბოლოო ნამუშევრის მიახლოებული პარამეტრებია 1,5 x 2,5 მ².**

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერ დაგენერირებული ილუსტრაციები კონკურსის ფარგლებში ***არ დაიშვება.***

განრიგი

განაცხადების მიღების ბოლო ვადა სარეგისტრაციო განაცხადები მიიღება 2025 წლის 31 ივლისამდე. დაგვიანებული განაცხადები არ მიიღება.	**31 ივლისი, 2025**
1-ელი ეტაპი **გადარჩევა** GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრის წარმომადგენლები გადაარჩევენ და გაფილტრავენ ნამუშევრებს, რომლებიც არ შეესაბამება დადგენილ კრიტერიუმებს.	**1 აგვისტო - 31 აგვისტო, 2025**
მე-2 ეტაპი **ჟიურის მიერ ნახევარფინალისტების შერჩევა** ჟიური შეარჩევს ნახევარფინალისტებს.	**1 სექტემბერი - 15 სექტემბერი, 2025**
მე-3 ეტაპი **ხმის მიცემა სოციალურ პლატფორმებზე და ფინალისტების შერჩევა** ნახევარფინალისტების ნამუშევრები განთავსდება GRUNI-ის მდგრადი განვითარების ცენტრის ოფიციალურ სოციალურ პლატფორმებზე. სოციალურ მედიაში კანდიდატების მიერ დაგროვებული რეაქციები (Like, Love & Care) **იქნება ერთ-ერთი კრიტერიუმი ჟიურის წევრების მიერ გამარჯვებულების შესარჩევად.**	**16 სექტემბერი - 30 სექტემბერი, 2025**
მე-4 ეტაპი **კედლის მხატვრობის ფაზა**	**1 ოქტომბერი - 20 ოქტომბერი, 2025**

მდგრადი განვითარების ცენტრი

კონკურსის გამარჯვებულები დაიწყებენ კედლის მოხატვას. კონკურსის ამ ფაზაში, თითოეული მხატვარი შეასრულებს საკუთარ ნამუშევარს. ყველა ნამუშევარი დასრულებული უნდა იყოს 2025 წლის 20 ოქტომბრამდე. ვადის გახანგრძლივება არ დაიშვება.	
მე-5 ეტაპი **დაჯილდოების ცერემონია** საზეიმოდ აღინიშნება კონკურსის დასრულება და დაჯილდოვდებიან კონკურსის გამარჯვებულები.	**26 ოქტომბერი, 2025**

საყურადღებო ინფორმაცია:

- მონაწილეები, რომლებმაც წარადგინეს ესკიზი, მაგრამ ვერ დაასრულეს ადგილზე კედლის მხატვრობის პროცესი (მაგალითად, არ გამოცხადდნენ, დატოვეს პროექტი ან ვერ შეასრულეს შეთანხმებულ ვადებში), ავტომატურად გამოირიცხებიან სიიდან.
- ასეთ შემთხვევაში, შემცვლელი მონაწილე შეირჩევა სათადარიგო სიიდან, ხელახალი შეფასების პროცესის გავლით.
- კონკურსის ფარგლებში ვადის გადაცილების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირდება. თუ მონაწილე ვერ ასრულებს ნამუშევარს დადგენილ ვადაში, იგი გამოირიცხება სიიდან, ხოლო მონაწილეობის უფლება გადაეცემა შემდეგ შესაბამის კანდიდატს.

LIBRA ALLIANCE GRUNI GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY GRUNI SDGs CENTER

განაცხადების მიღების **ბოლო ვადაა** 2025 წლის **31 ივლისი.**

მონაწილეობის მისაღებად მიჰყევით **ბმულს**

Call for Participation: Graffiti Art – SDGs Awareness Competition

The Big Wall Painting (Graffiti Art) – SDGs Awareness Competition – organized by the GRUNI SDGs Center, aims to engage artists to promote the United Nations Sustainable Development Goals (SDGs) through street art. **Tbilisi City Hall** supports this project as a partner. As part of the competition, participants are required to present artworks directly related to the SDGs and sustainability challenges in Georgia.

Project Aims:

- By supporting street art, the project aims to raise awareness about sustainable development, initiate dialogue on the challenges and solutions in this area, and highlight the global significance of sustainable development.
- Foster the formation of a society with high civic responsibility.

Project Objectives:

- **Promote SDGs awareness** through visually compelling art that communicates critical issues such as climate change, poverty, social inequality, gender equality, etc..
- **Encourage the involvement of artists** in raising awareness about sustainable development.
- **Contribute to forming a society with high civic responsibility** and achieving positive outcomes in sustainable development;
- **Promote the involvement of the private and public sectors** in raising awareness about sustainable development through the popularization of street art.

What are the Requirements?

To be selected, contributions must meet the following criteria:

- **Originality** – The artwork must be unique and not replicated from existing pieces.
- **Creativity** – The mural should be visually compelling and innovative.
- **Alignment with SDGs** – The mural should address at least one of the 17 Sustainable Development Goals, each associated with a specific color and thematic focus.
- **Civic Engagement** – The artwork should promote civic responsibility and awareness.
- Based on the **i5 Objectives**:
  Meaningful - The artwork should convey a clear message about sustainability in the following ways.
  Active Engagement - Through street art, artists should promote high levels of public activity and discussion about sustainability issues.
  Iteration - During refining, the artist should be open to recommendations to improve the illustration's design if necessary.
  Social Interaction - Street art should encourage interaction among different social segments of the community.

Joy and Well-being - The artwork should foster positivity and create a pleasant atmosphere.

*Note: Participation in the contest **must have** prior experience in street art.*

Advantages of Participation

- You will receive a **monetary prize of 500 GEL.**
- Within the competition, you will have the opportunity to collaborate with other artists, art institutions, and representatives of non-governmental environmental organizations.
- Your artwork will be displayed in a highly visible area of the city.
- You will gain valuable experience in large-scale mural creation.
- You will play an active role in promoting global sustainability efforts.

Submission Guidelines

Format: Submit a **Paper-based painting** or **Digital illustration** proposal for a mural design representing one or more **SDGs (JPEG/PNG/PDF)** and a short artist statement (max 300 words) explaining how your artwork aligns with the SDGs. **The expected size for the painting is 1.5 x 2/5 m².**

*Please note that illustrations generated by artificial intelligence **will not be permitted** in the competition.*

Schedule

Submission Deadline Submit your sketches and registration materials by July 31, 2025. Late submissions will not be accepted.	**July 31, 2025**
Stage 1 **Pre-Selection** The GRUNI SDGs Center will review and filter the submitted works, declining those not meeting the criteria.	**August 1 - August 31, 2025**
Stage 2 **Advisory Board Semi-Finalist Selection** The advisory board will select semi-finalists.	**September 1 - September 15, 2025**

Stage 3 **Social Media Voting and Finalist Selection** The semifinalists' works will be published on the official social media platforms of the GRUNI SDGs Center. The reactions received for each candidate on social media (Like, Love, and Care) will be considered as one of the criteria by the jury in selecting the finalists.	**September 16 - September 31, 2025**
Stage 4 **On-Site Mural Creation (Street Art Phase)** The winner (s) will begin the on-site mural creation process. This is the active phase, where all participants must complete their mural work. All murals must be fully completed by **October 20, 2025.** No extensions will be granted beyond this date.	**October 1 - October 20, 2025**
Stage 5 **SDG Mural Competition Awards Ceremony** The completed murals will be celebrated, and the competition winners will be awarded.	**October 26, 2025**

Important Information:

- Participants who submit a sketch but fail to complete the onsite mural creation (i.e., do not show up, abandon the project, or fail to meet the agreed-upon deadlines) will be automatically removed from the list.
- In such cases, a replacement participant will be selected either from the waiting list or through a re-evaluation process.
- Any participant missing a deadline during the competition will be disqualified from the event. If a participant cannot finish their work on time, they will be removed from the list, and the next suitable candidate will be approached to participate.

Deadline: Submissions must be received by **July 31, 2025.**

For registration/submission, please follow the LINK